



მუხლი 35. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა

✚ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადმინისტრირება

აკადემია განთავსებულია სამედიცინო კლინიკის ორ სართულზე, შენობა აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე, ხოლო აკადემიას დამატებით დანიშნული ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს მისი უფლება-მოვალეობების შესრულებას:

1.1. დაცვის მუშაკი მუშაობს 8 საათიან რეჟიმში და მოწოდებულია დაიცვას სტუდენტები, პერსონალი და დაწესებულების ქონება, აგრეთვე უზრუნველყოს უსაფრთხო, მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემო.

1.2. დაცვის მუშაკი ვალდებულია სწავლის პერიოდში არ დაუშვას სასწავლებელში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე უცხო პირები.

1.3. დაცვის მუშაკს აქვს უფლება სათანადო ექვის ან აშკარა გარეგნული ნიშნების არსებობის დროს შეუმოწმოს პირს პირადობის მოწმობა და საჭიროების

შემთხვევაში მეიჯარის დაცვის სამსახურის დახმარებით მოსთხოვონ შენობის დატოვება ან იძულებით დაატოვებინონ შენობა.

1.4. დაცვის მუშაკი ვალდებულია არ დაუშვას დაწესებულებაში თამბაოს მოწევა, ხოლო თამბაქოს მოწევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების ფარგლებში, დაუყონებლივ აღკვეთოს იგი.

✚ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

2.1. აკადემიაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არის საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

2.2. აკადემია აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრობით, რომელიც განთავსებულია კიბის უჯრედებთან და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია აკადემიის სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

2.3. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, დაცვის სამსახური უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პატრული და ა.შ).

2.4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაფოფად აკადემიას გამოყოფილი ყავს პ/მგ. პირი

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

3.1. აკადემიის შენობაში არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ოთახი/კაბინეტი, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ინვენტარი ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი.

სამედიცინო კაბინეტი მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 10.00-სთ-დან – 19.00-მდე.

3.2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის მიერ დანიშნული სამედიცინო განათლების მქონე პირი.

3.3. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება უფლებამოსილებას: ვალდებულია განახორციელოს ქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. ზარი 112-ში

ბ. სიტუაციაში სწრაფი გარკვევა

გ. უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დ. საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა.

3.4. აკადემია იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება.

3.5. აკადემიას აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ქმედება უსაფრთხოების დასაცავად, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.



ცეცხლმაქრი

